ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 142402418**

თარიღი:**24/01/2024**

ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის საბიუჯეტო წელს, ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა“ ფარგლებში, კონკურსის ჩატარების პირობების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ.“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს;

ა) ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულება (დანართი 1);

ბ) განაცხადის თანდართული ფორმა (დანართი 2);

გ) შეფასების კრიტერიუმის თანდართული ფორმა (დანართი 3);

დ) სარეკომენდაციო წერილის თანდართული ფორმა (დანართი 4).

ე) პროგრამული ანგარიშის თანდართული ფორმა (დანართი 5).

ვ) ხელშეკრულების პროექტი (დანართი 6).

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი